აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 2

13 სექტემბერი 2011 წელი ქ. ბათუმი

სხდომას თავმჯდომარეობდა: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: ქეთევან ჯიქია, თამარ ხოზრევანიძე, ასლან ჩავლეიშვილი და მალხაზ კალანდაძე.

სხდომას არ ესწრებოდა: გია გარსევანიშვილი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ.

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კომისიის მდივანს ქეთევან ჯიქიას სთხოვა განკარგულების პროექტის წარდგენა.

კომისიის მდივანმა ქეთევან ჯიქიამ კომისიას წარუდგინა განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიით არჩეულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრს გელა ცხომელიძეს (პარტიალ სიაში №5) უმაღლეს საბჭოს 2011 წლის 06 სექტემბრის №128 დადგენილებით ვადამდე შეუწყდა უმაღლესი საბჭოს წევრობა. ასევე მის ადგილმონაცვლედ კომისიას წარუდგინა და გააცნო ამავე პარტიის პარტიული სიით რიგით მომდევნო კანდიდატი ნარგულ ასანიძე (პარტიული სიაში №13), კომისიას გააცნო კანდიდატის თანხმობა უმაღლეს საბჭოს დეპუტატობაზე, შპს „ნარკოლოგიური ცენტრი“-დან წარმოდგენილი ცნობა დეპუტატობის კანდიდატის მიმართ ნარკომანიის, ტოქსოკომანიის, ალკოჰოლიზმის ფაქტის არ გამოვლენის შესახებ და აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად, კომისიის მიერ უნდა მოხდეს უმაღლეს საბჭოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ცნობა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოითქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის, 64-ე მუხლის მე-7 პუნქტის, მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2011 წლის 6 სექტემბრის №128 დადგენილების საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. ცნობილი იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიით არჩეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის, გელა ცხომელიძის (პარტიულ სიაში №5) ადგილმონაცვლედ, ამავე პარტიის პარტიული სიით რიგით მომდევნო, უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი ნარგული ასანიძე (პარტიულ სიაში №13).

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია